ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3966432

ნომერი: AR1596230

თარიღი : 28.04.2018

გაცემის თარიღი : 17.05.2018

გაცნობის თარიღი : 17.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზაჰესის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ქაშიაშვილი პ/ნ 31001035162
- მცხეთა ს. მისაქციელი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე დემონტაჟი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ზაჰესი, ზაჰესის ტერიტორიაზე, შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N 72.12.02.507) საცხოვრებელი ზონა 1(სზ-1)-ის ფარგლებში ღობის მშენებლობას და სარეკრეაციო ზონა 3(რზ-3)-ის არიალში არაყრუ 1.8მ ღობის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 72.12.02.507, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882017062505 26/02/2018 წ. ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი, დანართი ღობის დატანით, საკადასტრო გეგმა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - ზაჰესი, ზაჰესის ტერიტორიაზე, შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N 72.12.02.507) საცხოვრებელი ზონა 1(სზ-1)-ის ფარგლებში ღობის მშენებლობას და სარეკრეაციო ზონა 3(რზ-3)-ის არიალში არაყრუ 1.8მ ღობის მოწყობის შესაძლებლობას.

საპროექტო ღობეები მოეწყოს N 72.12.02.507 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.